



საქართველო
ლაგოდეხი, ქიზიკის ქ. № 25
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.
LAGODEKHI
2700 GEORGIA
LAGODEKHI MUNICIPALITY
SAKREBULO TEL: (+995354)221414



KA000024224667318

№ 19-ი

02 / ნოემბერი / 2018 წ.

განკარგულება

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სოფ.ლელიანში მდებარე 109060.00კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის სოფ. ლელიანის, სოფ ბალთასა და სოფ. ბებურიანის მოსახლეობისათვის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, ხუთი წლის ვადით, პირდაპირი წესით, იჯარით გაცემის თაობაზე. წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვროს 515 (ხუთას თხუთმეტი) ლარი.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად



გიორგი ლამბაშიძე